შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი „20“ ივლისი 2011 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი (შემდგომში - „მხარეები“), ერთი მხრივ ა(ა)იპ “ინფორმციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი” (შემდგომში - „ინსტიტუტი“), მისი დირექტორის გიორგი კლდიაშვილის სახით, და “საქართველოს საბჭოური პერიოდის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და თანადგომის საზოგადოება “მემორიალი” (შემდგომში - „მემორიალი”), მისი თავმჯდომარის გურამ სოსელიას სახით, მეორე მხრივ, აღიარებენ რა თანამშრომლობის მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის ტოტალიტარული წარსულის შესწავლის, გააზრების, საბჭოური პერიოდის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა უკვდავყოფისა და თანადგომის მნიშვნელობას, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. **შეთანხმების მიზანი**

1.1. წინამდებარე შეთანხმების მიზანია მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა სამეცნიერო, კვლევით და საგანმანათლებლო სფეროებში, ერთობლივი პროექტების, კონფერენციების, სხვადასხვა ღონისძიებების ინიცირება და განხორციელება;

1.2. “მემორიალის” არქივის მოვლა-პატრონობა, საბჭოური პერიოდის რეპრესიების მსხვერპლთა შესახებ მოპოვებული მასალის კომპიუტერიზაცია;

1.3. საქმიანობა საბჭოთა პერიოდის რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და თანადგომის უზრუნველსაყოფად.

2. **შეთანხმების საგანი**

2.1. წინამდებარე შეთანხმების მიხედვით „მხარების“ მიერ სხვადასხვა ერთობლივი სამეცნიერო, კვლევითი და კულტურული პროექტების განხორციელება; მათი შედეგების პუბლიკაცია, წიგნების გამოცემა; კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების, მსგავსი სახის ღონისძიებების ორგანიზაცია და ჩატარება;

3. **„მხარეთა“ უფლება-მოვალეობანი**

3.1. „ინსტიტუტი”:

3.1.1 დასახული მიზნების წარმატებით განხორციელების მიზნით უზრუნველყოფს “მემორიალის” არქივის (დოკუმენტების, მემუარული და ფოტო მასალის) მოვლა-პატრონობას, „ინსტიტუტის“ ოფისში მის განთავსებას, შენახვასა და საარქივო მასალის ციფრულ ფორმატში გადატანას, არქივის შევსებას ახლად მოძიებული მასალით;

3.1.2. თავისი შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს “მემორიალის” თანამშრომლებისათვის სათანადო სამუშაო პირობებსა და სამუშაო გარემოს შექმნას;

4. "მემორიალი"

4.1. უზრუნველყოფს მისი საარქივო მასალებით „ინსტიტუტის" თანამშრომლებისა და მკვლევარების თავისუფლად სარგებლობას, მათ შეუზღუდავ გამოყენებას კვლევით (სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული) პროექტებში და მათ გამოქვეყნებას;

4.2. თანაბარწილად მიიღებს მონაწილეობას სხვადასხვა მიზანდასახულობის ერთობლივ პროექტებში.

5. "მემორიალის" არქივი

5.1. "მემორიალის" არქივი რჩება მის მფლობელობაში;

5.2. არქივის ციფრულ ფორმატში გადაყვანის შემდეგ ერთი ელექტრონული ეგზემპლიარი გადაეცემა "მემორიალს", მეორე - „ინსტიტუტს".

6. შეთანხმების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები

6.1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის „მხარეების" მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს იმ დრომდე, სანამ ერთ-ერთი მხარე წერილობითი ფორმით არ მოითხოვს მის შეწყვეტას.

7. სხვა პირობები

შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ცალად.

8. ხელმოწერები

ა(ა)იპ "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" დირექტორი

გიორგი კლდიაშვილი

საბჭოური პერიოდის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და თანადგომის საზოგადოება "მემორიალის" თავმჯდომარე

ბერამ სოსელია